



სს „თბილღვინო“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	21
4. არამატერიალური აქტივები	22
5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	23
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	24
9. სესხები.....	24
10. შემოსავლები.....	26
11. გაყიდული საქონლის თვითღირებულება.....	26
12. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	26
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	27
14. ფინანსური ხარჯი (ნეტო)	27
15. სხვა მოგება.....	27
16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	28
17. ფინანსური რისკების მართვა.....	28
18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	31
19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	32
20. სააქციო კაპიტალი	32
21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	33
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	34
მმართველობის ანგარიში	36
1. კომპანია და მისი დამფუძნებლები.....	36
2. შემოსავლები.....	36
3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები	36
4. საქმიანობის განვითარების გეგმები.....	36
5. დასაქმებულთა რაოდენობა	36
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა.....	36
7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი	36
8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	37
9. ფინანსური რისკები.....	37
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია,	37
11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა;	37
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

სს „თბილღვინო“-ს დამფუძნებლებს:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თბილღვინო“-ს (შემდგომში ტექსტში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. (ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ 8-34 გვერდზე).

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებულ შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება. კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული ძირითადი საშუალებების ისტორიული თვითღირებულების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის წარდგენა. ამ მიზეზის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის ჩასწორება ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების, გაუნაწილებელი მოგებისა და ცვეთის ხარჯების წარდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით.

	ვენახის მიწა	მიწა და შენობა- ნაგებობები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება:				
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	215	3,519	626	4,360
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	215	3,519	626	4,360
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	215	3,519	626	4,360
ცვეთა:				
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	1,472	626	2,098
პერიოდის ცვეთა (2022)	-	182	-	182
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,654	626	2,280
პერიოდის ცვეთა (2023)	-	164	-	164
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,818	626	2,444
წმინდა საბალანსო ღირებულება:				
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	215	2,047	-	2,262
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	215	1,865	-	2,080
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	215	1,701	-	1,916

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2.29-ზე, **თავდებობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში**, რომელშიც მოცემულია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების მიერ აღებული სესხების ფარგლებში, კომპანიის მიერ, როგორც თავდების (სოლიდარული მოვალის) ნაკისრი ვალდებულებების დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2024 წლის 4 ივნისით დათარიღებულ მართვლობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად 34-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკლავება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ყერდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 4 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად 34-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბესიკ ბისეიშვილი წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2024 წლის 4 ივნისი
თბილისი, საქართველო

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბესიკ ბისეიშვილი წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2024 წლის 4 ივნისი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	მენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	43,518	38,037
აქტივები გამოყენების უფლებით		-	1
არამატერიალური აქტივები	4	148	146
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		1	2,516
სულ გრძელვადიანი აქტივები		43,667	40,700
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	25,593	24,605
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	12,228	11,674
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	963	4,929
სულ მოკლევადიანი აქტივები		38,784	41,208
სულ აქტივები		82,451	81,908
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		844	844
გაუნაწილებელი მოგება		47,813	47,782
სულ საკუთარი კაპიტალი		48,657	48,626
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	15,804	8,609
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,804	8,609
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8	4,149	3,947
მოკლევადიანი სესხები	9	13,840	18,860
საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი		-	1
გადასახდელი დივიდენდები		1	1,865
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		17,990	24,673
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		82,451	81,908

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

ადმასრულებელი დირექტორი:
 ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
 არჩილ გომიაშვილი

სს "თბილდვინო"

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	43,518	38,037
აქტივები გამოყენების უფლებით		-	1
არამატერიალური აქტივები	4	148	146
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		1	2,516
სულ გრძელვადიანი აქტივები		43,667	40,700
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	25,593	24,605
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6	12,228	11,674
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	963	4,929
სულ მოკლევადიანი აქტივები		38,784	41,208
სულ აქტივები		82,451	81,908
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		844	844
გაუნაწილებელი მოგება		47,813	47,782
სულ საკუთარი კაპიტალი		48,657	48,626
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	15,804	8,609
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,804	8,609
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8	4,149	3,947
მოკლევადიანი სესხები	9	13,840	18,860
საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი ნაწილი		-	1
გადასახდელი დივიდენდები		1	1,865
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		17,990	24,673
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		82,451	81,908

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიშვილი



სს "თბილღვინო"

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	მენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	35,616	37,772
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	11	(17,732)	(18,805)
საერთო მოგება		17,884	18,967
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	12	(8,923)	(7,530)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(7,115)	(7,046)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	14	(2,848)	(561)
სხვა მოგება	15	1,312	479
მიმდინარე წლის მოგება		310	4,309
სულ სრული შემოსავალი		310	4,309

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

სს "თბილდვინო"
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	35,616	37,772
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	11	(17,732)	(18,805)
საერთო მოგება		17,884	18,967
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	12	(8,923)	(7,530)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(7,115)	(7,046)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	14	(2,848)	(561)
სხვა მოგება	15	1,312	479
მიმდინარე წლის მოგება		310	4,309
სულ სრული შემოსავალი		310	4,309

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
 ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
 ანჩილ გომიაშვილი



სს “თბილღვინო”

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	32,634	37,172
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები გადასახადების ჩათვლით (გარდა მოგების გადასახადისა)	(28,743)	(31,175)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,891	5,997
გადახდილი პროცენტი	(2,132)	(1,447)
მიღებული პროცენტი	6	6
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები	1,765	4,556
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,102)	(7,438)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(38)	(8)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,140)	(7,446)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	29,426	17,345
სესხის ძირის დაფარვა	(27,869)	(9,049)
გადახდილი დივიდენდი	(2,143)	(3,879)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(586)	4,417
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება	(3,961)	1,527
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,929	3,531
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(5)	(129)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	963	4,929
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	963	4,929

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

სს "თბილვინო"

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	32,634	37,172
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები გადასახადების ჩათვლით (გარდა მოგების გადასახადისა)	(28,743)	(31,175)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,891	5,997
გადახდილი პროცენტი	(2,132)	(1,447)
მიღებული პროცენტი	6	6
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი წმინდა ფულადი სახსრები	1,765	4,556
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,102)	(7,438)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(38)	(8)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,140)	(7,446)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	29,426	17,345
სესხის ძირის დაფარვა	(27,869)	(9,049)
გადახდილი დივიდენდი	(2,143)	(3,879)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(586)	4,417
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება	(3,961)	1,527
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4,929	3,531
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(5)	(129)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	963	4,929

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი



ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

[Handwritten signature of Archil Gomiashvili]

სს “თბილდვინო”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	844	48,736	49,580
2022 წლის სრული შემოსავალი	-	4,309	4,309
განაწილებული დივიდენდი	-	(5,263)	(5,263)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	844	47,782	48,626
2023 წლის სრული შემოსავალი	-	310	310
განაწილებული დივიდენდი	-	(279)	(279)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	844	47,813	48,657

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

სს "თბილღვინო"

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	844	48,736	49,580
2022 წლის სრული შემოსავალი	-	4,309	4,309
განაწილებული დივიდენდი	-	(5,263)	(5,263)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	844	47,782	48,626
2023 წლის სრული შემოსავალი	-	310	310
განაწილებული დივიდენდი	-	(279)	(279)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	844	47,813	48,657

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია 2024 წლის 4 ივნისს

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი



ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „თბილდვინო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 209437242) დაარსდა 1996 წლის 28 სექტემბერს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი, №2. კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგება 421,854 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეული მათგანის ნომინალური ღირებულებაა 2 ლარი.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია.

2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

	% 2022	% 2023
ბ-ნი გიორგი მარგველაშვილი	50	50
ბ-ნი ზურაბ მარგველაშვილი	50	50
სულ	100	100

2. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. საადრიცხო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ საწინააღმდეგო არ იქნება მითითებული.

2.2 საადრიცხო პოლიტიკის ცვლილება და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2023 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: საადრიცხო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური საადრიცხო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური საადრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ საადრიცხო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას.

შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავოთ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შედგატებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგული:

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარედ ან არამიმდინარედ ვალდებულებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარედ ან გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავს გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტირებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც

დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.

2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომლებიც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესაძარის საჭირო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამისი ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესაძარის ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

2.3 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე, ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთასა და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის ღონეზე, რომლის ღონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვის გაუქმების მიზნით.

2.4 წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. საჭირო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. საჭირო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად

ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.6 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.7 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით, ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელმძღვანელო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელმძღვანელო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო ანგარიშებს მოთხოვნამდე.

2.8 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე- 2.28 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-6 შენიშვნა;
- ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში - მე- 2.2 შენიშვნა.

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელმძღვანელების საფუძველზე ვადადამდგარ სახელმძღვანელო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელმძღვანელების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს - აღიარებს გაუფასურების ზარალის რეზერვს ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ვადის სრული პერიოდისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ, შეიძლება, ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია, სავარაუდოდ, სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.9 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწერა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.10 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

2.11 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთად.

2.14 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10; 50
მანქანა-დანადგარები, ცისტერნები და ქვევრები	10; 15
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
მსხმოიარე ვენახები	33

2015 წლის 1 იანვრიდან ბასს 16 და ბასს 41 შესული ცვილებების შესაბამისად, მსხმოიარე კულტურები - ვენახები ასახულია ძირითად საშუალებებად.

2.15 სასოფლო სამურნეო პროდუქციის მოსავალი - ყურძენი

ყურძნის მოსავლის აღება, ზოგადად, ხდება შემოდგომაზე. მოსავლის გაზრდაზე გაწეული ხარჯი და მოსავლის აღებაზე გაწეული ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში ხარჯად. მოსავლის მიღების მომენტში ყურძენი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით ბასს 41 - სოფლის მეურნეობის შესაბამისად. სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ადგილობრივ ბაზარზე დაფიქსირებული საბაზრო ფასების მიხედვით. სამართლიანი ღირებულების ჩასწორება აისახება ვენახების მოვლა- შენახვის ანგარიშზე განტებულად.

2.16 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3 წლის გაანგარიშებით.

2.17 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.18 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებად ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.20 ნასესხები საშუალებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია - სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების, - რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას, ან წარმოებას, და რაც აღიარებულია რეალური ღირებულებით და რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის (განსაკუთრებული აქტივები) საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი, - კაპიტალიზაცია ხდება, როგორც ამ აქტივების ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა დანახარჯი კაპიტალიზირდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ კომპანია არ გასწევდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გაიანგარიშება კომპანიის საშუალო დაფინანსების ღირებულებით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ხდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების, შემცირებული ამ სესხით სარგებლობის დროებით ინვესტირებაზე გაწეული საინვესტიციო შემოსავლით.

2.21 იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიური სარგებლის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება, როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, ყოველი საიჯარო გადასახდელის განაწილება ხდება საიჯარო ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯის (პროცენტი) დარიცხვა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება იმდენად, რომ გამოყენებული იყოს მუდმივი განაკვეთი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ბალანსთან მიმართებაში. იჯარის ფარგლებში მიღებული ძირითადი საშუალებების ცვთის დარიცხვა ხორციელდება საიჯარო ვადისა და აქტივის ცხოვრების ხანგრძლივობას შორის უმცირესი ვადის მიხედვით.

2.22 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში,

როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.23 სახელმწიფო გრანტები

მას შემდეგ, რაც არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება, რომ გრანტი მეღებულის იქნება და კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს გრანტის პირობები, სახელმწიფოსაგან მიღებული გრანტები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალთან დაკავშირებული გრანტები აკლდება აღიარებულ შესაბამის ხარჯებს და ამ სახით წარდება ფინანსურ ანგარიშგებაში. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები აკლდება შესაბამის აქტივის ღირებულებას.

2.24 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახება მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც, ასევე, აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება ამოქმედების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის, კომპანიას, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის და ვალდებულებას.

2.25 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების

დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.26 ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განიკეთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.27 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.28 მნიშვნელოვანი სადრიცხო შეფასებები და სადრიცხო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სადრიცხო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

2.29 ფინანსური შეზღუდვების დარღვევა და და მისი გავლენა საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპზე

კომპანიას სს „თბილისი ბანკი“-სგან აღებული აქვს სესხები. სესხის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბანკმა დააწესა ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. სესხის ვადის ამოწურვამდე კომპანია ვალდებულია, შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური შეზღუდვები	ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები
კაპიტალი	6,800 აშშ დოლარზე მეტი
წმინდა საბრუნავი კაპიტალი	5,000 აშშ დოლარზე მეტი
მიმდინარე აქტივები	5,800 აშშ დოლარზე მეტი
თავისუფალი ფულადი სახსრების შეფარდება სესხების ჯამურ გადახდებთან	1.1-ზე მეტი
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.2-ზე მეტი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ ვერ შეძლო ორი კოეფიციენტის მიზნობრივ მაქსიმალურ ნიშნულზე შენარჩუნება: თავისუფალი ფულადი სახსრების შეფარდება სესხების ჯამურ გადახდებთან და სესხის მომსახურების კოეფიციენტი. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში, ბანკს სხვა დანარჩენთან ერთად, უფლება აქვს განახორციელოს გარკვეული ქმედებები, მათ შორის: მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; დროებით გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი მაქსიმუმ, 10%-ით; თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ან, დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკი ითხოვს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით და უკან გამოითხოვოს სესხის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სს „თბილისი ბანკი“ არ განახორციელებს ზემოაღნიშნულ ქმედებებს და კომპანიას შესაძლებლობა ექნება, წარმატებულად აწარმოოს მოლაპარაკებები ბანკთან, რათა გადალახოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემა. ამის დასტურად კომპანიას მოპოვებული აქვს ბანკიდან შესაბამისი წერილი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ ბანკი არ გეგმავს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ამ დარღვევათა გამო მისი ზემოთ განსაზღვრული უფლებების გამოყენებას.

მაშასადამე, მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია საწარმოს უწყვეტობის პრინციპის გამოყენება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად, მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილ მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე, რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის, უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც კორელაციამა კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები 904 (2022: 908) წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას.

ყურძნის სახით მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება. მოსავალი შეფასებულია მიღების მომენტში გაყიდვის თვითღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით. ფაქტობრივი ფასები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, რის გამოც, სამართლიანი ღირებულების შეფასება განხორციელებულია შეფასებითი საბაზარო ფასის საფუძველზე, რომელიც შეფასებულია მენეჯმენტის მიერ სექტორის გამოცდილებიდან გამომდინარე.

თავდებობა და გირავნობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში. კომპანია წარმოადგენს თავდებს - სოლიდარულ მოვალეს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების სესხებზე. თავდებობებს მაქსიმალური თანხა შეადგენს 4,5 მილიონ ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრისათვის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების მიერ ამ ურთიერთობების ფარგლებში აღებული სესხის ოდენობა შეადგენს 3 მილიონ ლარს.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანიები დამოუკიდებლად მოემსახურებიან ზემოთ მოცემული სესხის თანხებს. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

სს “თბილველი”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ვენახის მიწა	ვენახები	მანქანა- დანადგარე- ბი, ცისტერნები და ქვევრები	ოფისის აღჭურვი- ლობა და ავეჯი	სატრანს- პორტო საშუალებე- ბი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ვენახები მსხმოიარო- ბის მიღწევამდე	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება										
01.01.2022	6,080	8,553	7,275	16,063	881	983	64	6,262	119	46,280
შეძენა	40	27	2,991	885	100	132	-	5,802	555	10,532
გასვლა	-	-	-	(37)	(5)	-	-	(4,931)	(30)	(5,003)
31.12.2022	6,120	8,580	10,266	16,911	976	1,115	64	7,133	644	51,809
შეძენა	17	13	4,863	6,969	75	-	-	1,343	6,221	19,501
გასვლა	-	-	-	(46)	(58)	(55)	-	(4,990)	(6,441)	(11,590)
31.12.2023	6,137	8,593	15,129	23,834	993	1,060	64	3,486	424	59,720
ცვეთა:										
01.01.2022	2,136	-	784	7,607	575	365	57	-	-	11,524
პერიოდის ცვეთა	385	-	237	1,481	105	66	5	-	-	2,279
გასულების ცვეთა	-	-	-	(26)	(5)	-	-	-	-	(31)
31.12.2022	2,521	-	1,021	9,062	675	431	62	-	-	13,772
პერიოდის ცვეთა	367	-	356	1,603	107	70	2	-	-	2,505
გასულების ცვეთა	-	-	-	(30)	(45)	-	-	-	-	(75)
31.12.2023	2,888	-	1,377	10,635	737	501	64	-	-	16,202
წმინდა საბალანსო ღირებულება:										
01.01.2022	3,944	8,553	6,491	8,456	306	618	7	6,262	119	34,756
31.12.2022	3,599	8,580	9,245	7,849	301	684	2	7,133	644	38,037
31.12.2023	3,249	8,593	13,752	13,199	256	559	-	3,486	424	43,518

სს “თბილდვინო”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია იმ ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, რომლებიც დატვირთულია იპოთეკით გარე სესხების სასარგებლოდ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 10 - სესხები.

აქტივების ჯგუფი	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიწა და შენობა-ნაგებობები	2,416	2,585	2,466
ვენახის მიწა	2,500	2,500	2,500
ვენახები მსხმოიარობის მიღწევამდე	1,090	1,125	3,464
მანქანა-დანადგარები, ცისტერნები და ქვევრები	999	895	1,197
დაუმთავრებელი მშენებლობა	188	188	188
სულ	7,193	7,293	9,815

2021 წელს კომპანიამ გასცა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებზე 10 წლიანი იჯარის ხელშეკრულებით ვენახის მიწები, საბალანსო ღირებულებით 1,234. ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი ასახულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში 37 ოდენობით სხვა მოგება ზარალში.

4. არამატერიალური აქტივები

	სავაჭრო ნიშნები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება			
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	235	166	401
შეძენა	6	-	6
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	241	166	407
შეძენა	38	-	38
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	279	166	445
ამორტიზაცია:			
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	138	89	227
პერიოდის ამორტიზაცია	21	13	34
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	159	102	261
პერიოდის ამორტიზაცია	26	10	36
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	185	112	297
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	97	77	174
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	82	64	146
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	94	54	148

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის გადანაწილება:

	2023 წელი	2022 წელი
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება ჩამოწრა	1,018	1,368
ადმინისტრაციული ხარჯი	144	172
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	84	205
კაპიტალიზებული მარაგის ხარჯში	1,295	1,100
სულ	2,541	2,845

სს “თბილდვინო”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ღვინომასალები	20,257	18,161
მზა პროდუქცია	3,456	3,434
სხვა და სხვა სათანადო მასალები და მარაგები	1,880	3,010
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	25,593	24,605

ყველა მიმდინარე და მომავალი მარაგი დაგირავებულია ბანკის სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	12,606	11,796
საექვო ვალების რეზერვი	(904)	(908)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	498	726
სხვა მოთხოვნები	28	60
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	12,228	11,674

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა:

	2023 წლისათვის	2022 წლისათვის
1 იანვრის მდგომარეობით	908	1,035
ზრდა (შემცირება) მიმდინარე პერიოდისთვის	(4)	(127)
31 დეკემბრის მიხედვით	904	908

7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ნაღდი ფული სალაროში	1	8
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	147	2,008
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	815	2,913
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	963	4,929

8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,587	2,117
ძირითადი საშუალებების შესყიდვასა და მშენებლობასთან დაკავშირებული	79	280
კრედიტორული დავალიანება		
გადასახდელი ხელფასები	520	428
გადასახდელი გადასახადები	570	392
მიღებული ავანსები	297	389
სხვა კრედიტორული დავალიანება	96	341
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	4,149	3,947

9. სესხები

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
მოკლევადიანი სესხები	15,804	18,860
გრძელვადიანი სესხები	13,840	8,609
სულ სესხები	29,644	27,469

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:		
1 წლის განმავლობაში	13,840	18,860
1-დან 3 წლამდე ვადაში	1,978	5,223
3 წლის შემდეგ	13,826	3,386
სულ სესხები	29,644	27,469

ვალდებულებები წარდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ლარი	17,222	15,763
ევრო	12,422	11,706
სულ სესხები	29,644	27,469

ეფექტური საპროცენტო განაკვეთები ბალანსის შედგენის თარიღებისათვის:

31.12.2023	ლარში %
სესხები (ცვალებადი განაკვეთი)	სებ რეფინანსირების განაკვეთი პლუს 4,5 დანამატი ჯამურად 11% სა და 18 % შორის
სესხები (ფიქსირებული განაკვეთი)	10,5%
31.12.2022	ლარში %
სესხები (ცვალებადი განაკვეთი)	სებ რეფინანსირების განაკვეთი პლუს 4,5 დანამატი ჯამურად 11% სა და 18 % შორის

სს „თბილდვინო“

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31.12.2022	ლარში %
სესხები (ფიქსირებული განაკვეთი)	10,5%

31.12.2023	ევრო
სესხები (ცვალებადი განაკვეთი)	(LIBOR+6.47); (LIBOR+4.96)
სესხები(ფიქსირებული განაკვეთი)	7 %, 4,5 %

31.12.2022	ევრო
სესხები (ცვალებადი განაკვეთი)	(LIBOR+6.47); (LIBOR+4.96)
სესხები(ფიქსირებული განაკვეთი)	7 %, 4,5 %

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია იმ ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, რომლებიც დატვირთულია იპოთეკით გარე სესხების სასარგებლოდ. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ახსნა-განარტებითი შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები.

აქტივების ჯგუფი	31.12.2023	31.12.2022
მიწა და შენობა- ნაგებობები	2,416	2,585
ვენახის მიწა	2,500	2,500
ვენახები მსხმოიარობის მიღწევამდე	1,090	1,125
მანქანა-დანადგარები და სპეციალიზებული ღვინის კასრები	999	895
დაუმთავრებელი მშენებლობა	188	188
სულ	7,193	7,293

ყველა მიმდინარე და მომავალი მარაგი დაგირავებულია ბანკის სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

სესხებიდან გამომდინარე სხვა ფინანსური ვალდებულებები

კომპანიას სს „თიბისი ბანკი“-სგან აღებული აქვს სესხები. სესხის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ბანკმა დააწესა ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები. სესხის ვადის ამოწურვამდე კომპანია ვალდებულია, შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები:

ფინანსური შეზღუდვები	ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები
კაპიტალი	6,800 აშშ დოლარზე მეტი
წმინდა საბრუნავი კაპიტალი	5,000 აშშ დოლარზე მეტი
მიმდინარე აქტივები	5,800 აშშ დოლარზე მეტი
თავისუფალი ფულადი სახსრების შეფარდება სესხების ჯამურ გადახდებთან	1.1-ზე მეტი
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	1.2-ზე მეტი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ ვერ შეძლო ორი ფინანსური შეზღუდვის შენარჩუნება: თავისუფალი ფულადი სახსრების შეფარდება სესხების ჯამურ გადახდებთან და სესხის მომსახურების კოეფიციენტი. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში, ბანკს სხვა დანარჩენთა ერთად, უფლება აქვს განახორციელოს გარკვეული ქმედებები, მათ შორის: მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად; დროებით გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი მაქსიმუმ, 10%-ით; თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ან, დარღვევა მეორდება სისტემატურად, ბანკი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით და უკან გამოითხოვოს სესხის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სს „თიბისი ბანკი“ არ განახორციელებს ზემოაღნიშნულ ქმედებებს და კომპანიას შესაძლებლობა ექნება, წარმატებულად აწარმოოს მოლაპარაკებები ბანკთან, რათა გადალახოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემა. ამის დასტურად კომპანიას მოპოვებული აქვს ბანკიდან შესაბამისი წერილი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ ბანკი არ გეგმავს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ამ დარღვევათა გამო მისი ზემოთ განსაზღვრული უფლებების გამოყენებას.

სს “თბილდვინო”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. შემოსავლები

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი	საქონლის მიწოდება საქართველო	საქონლის მიწოდება საქართველოს ფარგლებს გარეთ	სულ
საქონლის გაყიდვებისა			
საკუთარი წარმოების ალკოჰოლური სასმელები	16,095	19,521	35,616
ხელშერკულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	16,095	19,521	35,616
საქონლის გადაცემის			
დროის გარკვეულ მომენტში	16,095	19,521	35,616
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	16,095	19,521	35,616
შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის	საქონლის	
შემოსავალი რეალიზაციიდან 2022 წელი	მიწოდება	მიწოდება	სულ
	საქართველო	საქართველოს ფარგლებს გარეთ	
საქონლის გაყიდვებისა			
საკუთარი წარმოების ალკოჰოლური სასმელები	11,210	26,562	37,772
ხელშერკულების ხანგრძლივობა			
მოკლევადიანი	11,210	26,562	37,772
საქონლის გადაცემის			
დროის გარკვეულ მომენტში	11,210	26,562	37,772
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	11,210	26,562	37,772

11. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
მასალების ხარჯი	14,426	15,778
პირდაპირი ხელფასი	1,368	1,432
არაკაპიტალიზებული ცვეთა და ამორტიზაცია	1,018	993
სხვა	920	602
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	17,732	18,805

12. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი

	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
რეკლამის ხარჯი	6,330	3,792
ტრანსპორტირების ხარჯი	1,699	2,803
შრომის ანაზღაურება	205	279
ცვეთა და ამორტიზაცია	84	77
სხვა	605	579
სულ გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	8,923	7,530

სს “თბილდვინო”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შრომის ანაზღაურება	4,110	3,483
საგადასახადო ხარჯი (გარდა განაწილებული მოგების გადასახადის ხარჯისა)	245	201
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯი	101	82
ბანკის მომსახურების ხარჯი	328	392
მოკლევადიანი იჯარა და კომუნალური ხარჯი	339	397
აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	172	269
განაწილებული მოგების გადასახადის ხარჯი	378	619
დაზღვევის ხარჯი	143	154
ტრანსპორტირების ხარჯი	284	350
რემონტის ხარჯი	146	134
ოფისის სამუშაო ხარჯი	327	172
ცვტა და ამორტიზაცია	144	143
საკომუნიკაციო ხარჯი	36	30
თანამშრომელთა გადამზადების ხარჯი	62	3
სხვა	300	617
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7,115	7,046

14. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	85	177
საპროცენტო ხარჯი	(2,326)	(1,618)
საკურსო სხვაობის შედეგი (ნეტო)	(607)	880
სულ ნეტო ფინანსური ხარჯი	(2,848)	(561)

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულია გარკვეული სესხების პროცენტი. პროცენტის ხარჯი წარდგენილია სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებული ხარჯის გამოკლებით განეჭებული. დაფინანსებული სესხის პროცენტი შეადგენს 695 და 678, 2023 და 2022 წლების მიხედვით შესაბამისად.

15. სხვა მოგება

	2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
შემოსავალი საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისგან	2,735	3,260
ვენახის საოპერაციო ხარჯები	(2,215)	(3,137)
დაზღვევის ანაზღაურება	422	51
იჯარით მიღებული შემოსავალი	37	37
რეზერვის შემცირება	4	127
ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობა	9	-
სხვა მოგება	320	141
სულ სხვა მოგება	1,312	479

კომპანიამ საკუთარი ვენახებიდან მიიღო 1,797 და 2,162 ტონა მოსავალი 2023 და 2022 წელს შესაბამისად.

16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2023 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული ცვლილება	დივიდენდის დარიცხვა (დაკავებული გადასახადით შემცირებული)	საკურსო სხვაობა	2023 წლის 1 იანვარი
ანგარიშწორება დამფუძნებლებთან დივიდენდის ნაწილში	1	(2,143)	279	-	1,865
სასესხო ვალდებულება იჯარის	29,644	1,557	-	618	27,469
ვალდებულებები	-	(1)	-	-	1
სულ	29,645	(587)	279	618	29,335

	2022 წლის 31 დეკემბერი	ფულადი ნაკადებით გამოწვეული ცვლილება	დივიდენდის დარიცხვა (დაკავებული გადასახადით შემცირებული)	საკურსო სხვაობა	2022 წლის 1 იანვარი
ანგარიშწორება დამფუძნებლებთან დივიდენდის ნაწილში	1,865	(3,878)	5,263	-	480
სასესხო ვალდებულება იჯარის	27,469	8,296	-	(1,490)	20,663
ვალდებულებები	1	-	-	-	1
სულ	29,335	4,418	5,263	(1,490)	21,144

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	11,702	10,888
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	962	4,921
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	12,664	15,809

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსაღდნოლი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების 36 თვიან ისტორიულ მონაცემებს 2023 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისათვის. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე.

სავაჭრო დებიტორები ჩამიწერება ბალანსიდან შესაბამის რეზერვის შემცირების გზით, როდესაც არ არსებობს ადეკვატური მოლოდინი იმისა რომ მოხდება შესაბამისი თანხების ამოღება. სხვა ფაქტებთან ერთად ამ ფაქტის ერთ-ერთი ინდიკატორებია 180 დღიანი ვადაგადაცილება და დამატებითი გრაფიკის პირობების დარღვევა.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარში	აშშ დოლარი ლარში	ბრიტანული ფუნტი ლარში	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,350	1,061	42	9,249	11,702
ფული და ფულის ეკვივალენტები	272	543	-	148	963
სულ ფინანსური აქტივები	1,622	1,604	42	9,397	12,665
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	858	657	-	1,072	2,587
სესხები	12,422	-	-	17,222	29,644
საიჯარო ვალდებულება	-	-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,280	657	-	18,294	32,231
წმინდა პოზიცია	(11,658)	947	42	(8,897)	(19,566)

სს “თბილდვინო”

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარში	აშშ დოლარი ლარში	ბრიტანული ფუნტი ლარში	ლარში	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,140	2,370	75	7,303	10,888
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,864	17	32	2,016	4,929
სულ ფინანსური აქტივები	4,004	2,387	107	9,319	15,817
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	537	693	3	883	2,116
სესხები	11,706	-	-	15,763	27,469
საიჯარო ვალდებულება	-	-	-	1	1
სულ ფინანსური ვალდებულებები	12,243	693	3	16,647	29,586
წმინდა პოზიცია	(8,239)	1,694	104	(7,328)	(13,769)

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2023 წ.		31 დეკემბერი 2022 წ.	
	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	189	-	339	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	(189)	-	(339)	-
ევროს გამყარება 20%-ით	(2,332)	-	(1,648)	-
ევროს დასუსტება 20%-ით	2,332	-	1,648	-
ფუნტის გამყარება 20%-ით	8	-	21	-
ფუნტის დასუსტება 20%-ით	(8)	-	(21)	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიას მიღებული აქვს როგორც ცვალეზადი (გარკვეული ლიმიტების ფარგლებში) ასევე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი სესხები. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალეზადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. აღებული სესხების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს, რის გამოც ისინი შესაძლოა არ ედრებოდეს საბალანსო უწყისში ასახულ თანხებს:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წელში	1 დან 3 წლამდე	3 დან 6 წლამდე	6 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა	4,149	-	-	-	4,149
კრედიტორული დავალიანება					
სესხები	13,840	1,978	13,826	-	29,644
სულ მომავალში გადასახდელები	17,989	1,978	13,826	-	33,793

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	1 წელში	1 დან 3 წლამდე	3 დან 6 წლამდე	6 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა	3,947	-	-	-	3,947
კრედიტორული დავალიანება					
სესხები	18,860	5,223	3,386	-	27,469
საიჯარო ვალდებულება	1			-	1
სულ მომავალში გადასახდელები	22,808	5,223	3,386	-	31,417

ცხრილში ასახული თანხები გახლავთ სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრები. შედეგად, ეს თანხები არ შეჯერდება ბალანსზე ასახულ თანხებთან, გარდა მოკლევადიანი გადასახდელებისა, სადაც დისკონტირება არ გამოიყენება. კომპანია ელის, რომ შეასრულებს საოპერაციო ფულადი ნაკადებიდან გამოწვეულ ვალდებულებებს.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია ექვემდებარება ადებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღვრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების და მათი დარღვევის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები); რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩამლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	962
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	11,702
სულ ფინანსური აქტივები	12,664

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10,888
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	4,921
სულ ფინანსური აქტივები	15,809

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

20. სააქციო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის კაპიტალი შედგებოდა 421,854 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან 421,854-ვე გამოშვებული და განადგურებულია. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 2 ლარი.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე სააქციო კაპიტალში ცვლილება არ მომხდარა:

	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა
2023 წლის 1 იანვარი	421,853
2023 წლის 31 დეკემბერი	421,853

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (საერთო კონტროლის ქვეშ კომპანიები)	4,000	3,882
გადასახდელი დივიდენდები (მოკლევადიანი)	1	1,864
შემოსავალი რეალიზაციიდან (საერთო კონტროლის ქვეშ კომპანიები)	3,739	3,244
შემოსავალი იჯარიდან (საერთო კონტროლის ქვეშ კომპანიები)	37	37

გაცემულია დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.
ღირეუტორების ანაზღაურება:

	2023 წელი		2022 წელი	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
შრომის ანაზღაურება:				
- ხელფასები	968	37	657	-

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

22.1 - თავდებობა დაკავშირებული მხარის საბანკო სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში.

კომპანია წარმოადგენს თავდებს - სოლიდარულ მოვალეს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების სესხებზე. თავდებობის მაქსიმალური თანხა შეადგენს 4.5 მილიონ ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრისათვის საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების მიერ ამ ურთიერთობების ფარგლებში აღებული სესხის ოდენობა შეადგენს 3 მილიონ ლარს.

ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და დაკავშირებული კომპანიები დამოუკიდებლად მოემსახურება ზემოთ მოცემული სესხის თანხებს. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

22.2 საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

22.3 სასამართლო დაჟამომწოდებლთან.

2012 წლიდან გურჯაანის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე შპს „პემ“-ის სარჩელის გამო სს „თბილდვინო“-ს მიმართ, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნით და სს „თბილდვინო“-ს შეგებებული სარჩელი შპს „პემ“-ის მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამავე სასამართლოს წარმოებაშია შპს „პემ“-ის ადმინისტრაციული სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილია სს „თბილდვინო“-ს კუთვნილი ღვინის ქარხნის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. სამოქალაქო დავაზე საქმის წარმოება შეჩერებულია ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტამდე, რომელზეც თავის მხრივ სხდომები 2018 წლის შემდეგ არ ჩანიშნულა. შესაბამისად საქმის წარმოება არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციულ დავაზე დასრულებული არ არის. კომპანია არ მოელის ამ სასამართლო დავებიდან რაიმე სახის ნეგატიურ შედეგს, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული რაიმე სახის ანარიცხი.

გარდა ზემოთ აღნიშნული სასამართლო დავისა პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ

რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 4 ივნისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ. ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების დამატებით ჩასწორებას ან ახსნა-განმარტებას.

ფინანსური ანგარიშგების დასასრული

სს „თბილვეინო“ -ს

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობის ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა)

მმართველობის ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

სს „თბილდვინო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 209437242) დაარსდა 1996 წლის 28 სექტემბერს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, სარაჯიშვილის გამზირი, №2. კომპანიის სააქციო კაპიტალი შედგება 421,854 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან, თითოეული მათგანის ნომინალური ღირებულებაა 2 ლარი.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება და რეალიზაცია.

2022 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

	% 2022	% 2023
ბ-ნი გიორგი მარგველაშვილი	50	50
ბ-ნი ზურაბ მარგველაშვილი	50	50
სულ	100	100

2. შემოსავლები

კომპანია ახორციელებს თავის ნაწარმოებ ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. თბილდვინოს წარმოებული ღვინო წარმატებით იყიდება მსოფლიოს 30-მდე სხვადასხვა ქვეყანაში. გაყიდვების 95 % მოიცავს ექსპორტს, დანარჩენი საქარველოს. კომპანიის შემოსავლების დეტალები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 11.

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

კომპანიის ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ფინანსური დეტალები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 3,

თბილდვინო ფლობს ქარხნებს თბილისსა და ყვარელში, რომელთა საწარმოო სიმძლავრე შეადგენს 8,7 მლნ. ლიტრს წელიწადში. პროდუქციისთვის საჭირო ნედლეულის ნაწილი მიიღება გურჯაანის, ყვარლის, შილდის და თელავის რაიონებში მდებარე საკუთარი 363 ჰექტარი ვენახებიდან. 2023 წელს კომპანიამ შეიძინა ყურძნის საკრეფი კომბაინი. ასევე 2023 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის - EBRD-ის და თიბისი ბანკის დაფინანსებით შეიძინა და დაამონტაჟა იტალიური მაღალტექნოლოგიური ჩამოსასხმელი ხაზი, რომელიც ხარისხის ყველა ნორმის დაცვით საათში 6 000 ბოთლის ჩამოსხმას უზრუნველყოფს

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

- ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უმაღლესი ხარისხის ღვინის წარმოება;
- ლიდერის პოზიციის შენარჩუნება აგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე.
- უცხოელი მეღვინე და მევენახე კონსულტანტების დახმარებით მახალხარისხიანი ღვინის და ყურძნის მოსავლის წარმოება საკუთარი ვენახებიდან.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

კომპანიაში დასაქმებულია 140 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რაიმე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რაიმე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა კომპანიაში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ქვემოთ მოცემული ფინანსური რისკების ანალიზის გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-17 პუნქტში.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია,

კომპანიას 2023 და 2024 წლების მანძილზე არც შეუძენია და არც გაუსხვისებია რაიმე სახის აქციები.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა;

კომპანიას რაიმე სახის სამეცნიერო კვლევები ნაწარმოები არ აქვს.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ, 2024 წლის 04 ივნისი.

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი

ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

სს "თბილდვინო" მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. ფინანსური რისკები

ფინანსურ რისკებზე დეტალური ინფორმაცია მოცემულია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-17 პუნქტში.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია,

კომპანიას 2023 და 2024 წლების მანძილზე არც შეუძენია და არც გაუსხვისებია რაიმე სახის აქციები.

11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა;

კომპანიას რაიმე სახის სამეცნიერო კვლევები ნაწარმოები არ აქვს.

12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის, მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ, 2024 წლის 04 ივნისი.

აღმასრულებელი დირექტორი:
ზურაბ მარგველაშვილი



ფინანსური დირექტორი:
არჩილ გომიაშვილი

